

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო ლალიძე

აღმოსავლეთ საქართველოს მთის სოფლების ურბანულ-სოციალური და
არქიტექტურულ-გეგმარებითი განვითარების პრინციპები

არქიტექტურის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი
დისერტაციის

ავტორეზიუმე

თბილისი, 0175, საქართველო

2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის (ურბანისტიკის) აკადემიური დეპარტამენტი

ხელმძღვანელი : **თენგიზ მახარაშვილი** -----
სტუ-ს პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი

რეცენზენტები: **მარინა მაისურაძე** -----
სტუ-ს პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი

ქეთევან რობაქიძე -----
საუ-ს პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2016 წლის --, ---, --- საათზე

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე

კორპუსი #1 , აუდიტორია #

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას ქ. #77

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

დავით ბოსტანაშვილი -----

სტუ-ს, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი,

არქიტექტურის დოქტორი

შესავალი

ევროპის მონინავე ქვეყნებში მთიანი რეგიონების ტერიტორიულ დაგეგმარებას დიდი ყურადღება ეთმობა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მთელ რიგ ქვეყნებში ტერიტორიული განვითარებისთვის ეროვნული გეგმებით განისაზღვრა მთიან ურბანიზებულ ზონებში სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მაღალმთიანი მხარეების უნიკალურ და გამორჩეულ თავისებურებას ქმნის მათი ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტების ერთობა, დამახასიათებელი არქიტექტურა და სპეციფიკური კულტურა, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა თავისი უნიკალურობა და თავისებურება, რომელიც შედგება სპეციფიკური დიალექტის, რიტუალების, ტრადიციების, ხელსაქმის, ტრადიციული სამზარეულოს და რაც მნიშვნელოვანია შესანიშნავ ლანდშაფტთან კარგად შერწყმულ ორგანული არქიტექტურისგან.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი ურბანული და სოციალ-ეკონომიკური განვითარებისთვის. იგი უნდა გახდეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მწარმოებელი, აგრარულ-რეკრეაციული, ტურიზმის და საკურორტო-რეკრეაციული მხარე.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების განსახლების ფორმირება/განვითარებას ძლიერ იმპულს აძლევს ისეთი ფაქტორი, როგორცაა სატრანსპორტო ქსელის პერსპექტიული განვითარების შესაძლებლობა. სატრანსპორტო კავშირების ფუნქციონირების შედეგად კი მოსალოდნელია მგზავრთნაკადებისა და ტვირთნაკადების თავისუფლად გადანაწილება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონებიდან ქვეყნის ნებისმიერი წერტილამდე, ტურიზმის გააქტიურებას, რაც გამოიწვევს მთიანი რეგიონების ძირეულ ფუნქციურ-გეგმარებით და სტრუქტურულ ცვლილებებს.

მთიანი რეგიონის ბუნებრივი პირობებისა და მეურნეობის თავისებურებებიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდება სოფლის მეურნეობის განვითარება: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის წონასწორობის დამყარება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, სიღარიბის დაძლევა და მიგრაციული პროცესების შენელების მიზნით დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა და სოფლად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

თემის აქტუალობა

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი ტერიტორიები, მისი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები დიდ ბუნებრივ, ისტორიულ-კულტურულ, აგრარულ-რეკრეაციულ და აგრარულ-საკურორტო-ტურისტულ პოტენციალს ფლობს, სამწუხაროდ, საქართველოს მთიანი რეგიონები არ არის ჩართული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ქალაქგეგმარებით ასპექტში ეს გამოიხატება განსახლებისა და განაშენიანების საერთო სტრუქტურის დარღვევით, ცალკეულ მთიან რაიონებს შორის ფუნქციონალური ურთიერთკავშირების მოშლით, მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლებისა და განაშენიანების სავალალო მდგომარეობით, დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით, მიტოვებული სოფლების წარმოქმნით, ეკოლოგიურად და ესთეტიკურად ფასეული ლანდშაფტის დეგრადაციით.

XX საუკუნის მიწურულს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების ქალაქგეგმარებითი რეორგანიზაციისთვის დაწყებულ პროცესში არასაკმარისად იქნა გათვალისწინებული საცხოვრებელი გარემოს ფორმირების ტრადიციული პრინციპები, რაც გახდა ნეგატიური სოციალ-ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგების ერთ-ერთი მიზეზი, რაც გამოიხატა მინერალური რესურსების დაკარგვაში, საშიში ბუნებრივი პროცესების ზემოქმედებაში,

საცხოვრებელი გარემოს კომფორტის დონის დაცვაში, მიგრაციული პროცესების დაჩქარებაში და დაცარიელებული სოფლების პროცენტულ ზრდაში

უკანასკნელ დროს ქვეყანაში შეიმჩნევა ტენდენცია მთიანი რეგიონების მონახულებისა - სახალხო დღესასწაულების ჩატარების, არქიტექტურული ძეგლების, ბუნების დათვალიერების და ა.შ. მიზნით. შრომის გააქტიურებასთან ერთად გაიზარდა ოჯახების რაოდენობა, რომლებიც სემონურად ცხოვრობენ მთიან სოფლებში და ეწევიან სასოფლო მეურნეობას და ტურისულ მომსახურებას, თუმცა მთიან რეგიონებში დღეს არსებული განსახლების სტრუქტურის რეგულირების სისტემის არარსებობის გამო ტერიტორიები ქაოტურად გამოიყენება, ადგილი აქვს მიწების უკანონოდ მითვისებას და არასანქცინირებულ მშენებლობას დაუმტკიცებელი პროექტებით. ყოველივე ეს კი იწვევს დღემდე მოღწეული ისტორიულად ჩამოყალიბებული არქიტექტურული და ბუნებრივი კომპლექსების რღვევას.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემა სრულად წარმოჩინდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის - ისტორიულ გეოგრაფიული მხარეების - ფშავ-ხევსურეთის, ხევის, მთიულეთის და თუშეთის მაგალითზე და შესაბამისად მათი რეგიონებისთვის აქტუალურად უნდა მივიჩნიოთ სოფლის დასახლებების, მეურნეობის, აგარულ- რეკრეაციული, აგარულ-ტურისტულ-საკურორტო მიმართულებების განვითარების ქალაქგეგმარებითი ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების განხილვა და ანალიზი. ამასთან აუცილებელია შემუშავდეს აღმოსავლეთ საქართველოს მთის სოფლების ურბანულ-სოციალური და არქიტექტურულ-გეგმარებითი განვითარების ერთიანი კონცეპცია, რომელიც დაფუძნებული იქნება, როგორც წინაპართა მრავალსაუკუნოვან გამოცდილებაზე, ასევე უცხოეთის განვითარებული ქვეყნების პოზიტიურ მაგალითებზე და განვითარების თანამედროვე პრინციპებზე.

გრძელვადიანი მდგრადი განვითარების ქალაქგეგმარებითი რეკომენდაციების შემუშავებით შესაძლებელი იქნება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მრავალფერვანი პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება, საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებით მიგრაციის პროცესის შეჩერება.

კვლევის მიზანია:

განვითარების პოსტსაბჭოთა ეტაპზე საკანონმდებლო, ინსტიტუციონალური, ურბანული დაგეგმარების რეფორმებისა და ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ურბანულ-სოციალური და არქიტექტურულ-გეგმარებითი განვითარების პრინციპების გამოვლენა.

კვლევის ამოცანები:

- აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებების შესწავლა და ჰიუსომეტრული სარტყლების მიხედვით ლანდშაფტურ-კლიმატური ცვლილებების დადგენა, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ რეგიონების ურბანულ, სოციალურ-ეკონომიკურ, დემოგრაფიულ პირობებზე;
- აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების განვითარების ისტორიულ-რეტროსპექტული ანალიზი (XIX ს, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდი);
- რეგიონში არსებული ურბანულ-სოციალური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლა-გაანალიზება, შერჩევითი სოციოლოგიური კვლევის ჩატარება რეგიონალურ განვითარებასთან მიმართებაში და სოფლის დასახლებების სოციალურ-ეკონომიკური და ქალაქგეგმარებითი პრობლემების დადგენა;

- მთიან რეგიონებში სოფლების და განსახლების ურბანულ-სოციალური და სივრცული განვითარების არსებული თავისებურებების გამოვლენა და ეკონომიკური პოტენციალის დადგენა ცალკეული რეგიონების მიხედვით;
- აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისთვის მისი ძირითადი ურბანული არეალების და ფუნქციონალური ზონების გამოვლენა, სატრანსპორტო-საინჟინრო კომუნიკაციების, სოციალურ-კულტურული მომსახურების განვითარების პრინციპების დადგენა.

კვლევის თეორიულ - მეთოდოლოგიური საფუძვლებია:

საქართველოს კონსტიტუცია (დამატებებით და ცვლილებებით). 1995 წ. თბილისი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 1997 წ. თბილისი); საქართველოს რიგი კანონები, მათ შორის: „სივრცის მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“. 2005 წ. თბილისი; „გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ“. 2005 წ. თბილისი; „მაღალმთიანი რეგიონების კულტურული და სოციალურ - ეკონომიკური განვითარების შესახებ“. 1999 წ. თბილისი; „დასული ტერიტორიების სისტემის შესახებ“. 1996 წ. თბილისი; „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“. 1998 წ. თბილისი; საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის #172-17 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რეგიონალური განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია“; საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შემუშავებული „მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისათვის“. 2014 წ. თბილისი; კანონი, "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების" შესახებ. 2016 წ. თბილისი.

ნაშრომი ეყრდნობა აგრეთვე უცხოურ და ქართულ ლიტერატურულ წყაროებს. გაანალიზებულია ისტორიული, სტატისტიკური, კარტოგრაფიული, საპროექტო და დასრულებული ობიექტების, აღმოსავლეთ საქართველოს

მთიანეთის ბუნებრივ-კლიმატური, სოციალურ-ეკონომიური, დემოგრაფიული მონაცემები.

განალიზებულია აგრეთვე „თუშეთის სივრცითი განვითარების სახელმძღვანელო მითითებები“. 2014-2015 წწ. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული „თუშეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა“. 2014 წ. თბილისი და სხვა.

კვლევის ძირითად ობიექტს და საგანს: წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონები, კერძოდ: მცხეთა-მთიანეთის მხარის ყაზბეგი, თიანეთის, ღუშეთის მუნიციპალიტეტების მთის სოფლები და კახეთის მხარის ახმეტის მუნიციპალიტეტის მთის სოფლები; მათი სივრცით-ტერიტორიული და ფუნქციურ-გეგმარებითი განვითარების ფაქტორები, თავისებურებები და ტენდენციები.

კვლევის მეცნიერული სიახლე:

მდგომარეობს იმაში, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების სოფლის დასახლებების განვითარება განიხილება მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი პარამეტრების განვითარების კონტექსტში, ბუნებრივ-კლიმატური, სოციალურ-ეკონომიკური, ტრადიციული განსახლების, არსებული საცხოვრებელი ფონდის, ასევე, ეთნოგრაფიული და კულტუროლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთანავე შემუშავდა ტერიტორიების ზონირება, ფუნქციონალური ზონები, ლანდშაფტის კლასიფიკაცია-გეგმარებითი ელემენტების საზღვრები, წარმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის სოფლების და განსახლების სისტემის ეტაპობრივად ფორმირებისა და განვითარების შესაძლებლობები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: მდგომარეობს იმაში, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სამეურნეო და აგარარულ-საკურორტო-

ტურისტული პოტენციალის სრულფასოვანი გამოყენება და პრაქტიკული დასკვნების გათვალისწინება ხელს შეუწყობს, მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მიგრაციული პროცესების შეჩერებას, ცხოვრების დონის ამაღლებას, საინჟინრო-ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, გარემოს დაცვის გაუმჯობესებას და მდგრადი განვითარების პირობების ჩამოყალიბებას.

კვლევის შედეგების აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები და შედეგები წარმოდგენილია შემდეგი სამეცნიერო შრომების სახით:

1. ნ.ლალიძე თ. მახარაშვილი, მთიდან მოსახლეობის მიგრაციის პრობლემები და ურბანული განვითარება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მაგალითზე. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "ინტელექტუალი", საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია. თბილისი. 2014, N26, გვ.225-230.

2. ნ. ლალიძე თ. მახარაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების ურბანულ-სოციალური და ეკონომიკური განვითარების პოტენციალი. სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი. 2015, N1(36),გვ. 157-163.

3. ნ. ლალიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების შერჩევითი სოციალურ-ეკონომიური კვლევა. სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი. 2015, N4(39),გვ.146-151.

4. ნ. ლალიძე, საქართველოს მთიანი რეგიონების განვითარებისთვის ჟურნალი „სტილი“ (არქიტექტურა, ინტერიერი, დიზაინი), თბილისი. 2015, #2 (53), გვ. 36-39.

5. ნ. ლალიძე საქართველოს მთიანეთი, ჟურნალი „სტილი“ (არქიტექტურა, ინტერიერი, დიზაინი), თბილისი. 2014, #3 (50), გვ. 48-51.

6. სახელმძღვანელოს „არქიტექტორ ტექნიკოსის“ ავტორი / პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში/, თბილისი, 2015

სტუ-ს სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა:

სტუ-ს 82-ე სამეცნიერო კონფერენციის I პრემიის ლაურეატი. თემა: „ მთიდან მოსახლეობის მიგრაციის პრობლემები და ურბანული განვითარება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მაგალითზე“. 2014 წ. თბილისი.

კოლოქვიუმები და სემინარები:

- აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების დემოგრაფიული პრობლემები. კოლოქვიუმი I. 2014 წ. თბილისი;
- ქალაქ თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირების რეტროსპექტული ანალიზი. სემინარი I. 2014. თბილისი;
- მთიანი რეგიონების ურბანული და არქიტექტურულ-გეგმარებითი განვითარების უცხოური გამოცდილება. კოლოქვიუმი II. 2015. თბილისი;
- საქართველოს რთულრელიეფიანი რეგიონების განვითარების საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა. სემინარი II. 2015. თბილისი
- აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების შერჩევითი სოციალურ-ეკონომიური კვლევა. კოლოქვიუმი III. 2016. თბილისი

სხვა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა: კონფერენცია ონის რაიონის სამკურნალო-საკურორტო ინფრასტრუქტურის ხელშეწყობისა და განვითარებისთვის. თემა „რაჭა მიმოხილვისთვის“, ონის კულტურის სახლი. 2015;

- საერთაშორისო არქიტექტურული გამოფენა - ფორუმი - „ქალები აშენებენ! იქ, სადაც კავკასია ევროპას ხვდება“, თემა „ თბილისის ქალაქგეგმარებითი განვითარების რეტროსპექტივა - პირველი ქალი არქიტექტორები“, 2015 წ.თბილისი, MomaTbilisi.

სადისერტაციო თემის იდენტური საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაპროექტებული და განხორციელებული ობიექტები

1995-2006 წწ - საქართველოს სოფლის დასახლებებისა და საცხოვრებელი სახლების პროექტირება (პროექტის ავტორი/სექტორის ხელმძღვანელი). „სოფლების პერსპექტიული დაგეგმარებისა და განაშენიანების განყოფილება“./„თბილზნიიუპი“/

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა:

სადისერტაციო ნაშრომი არის 150 გვერდიანი, თან ახლავს დანართი 56 გვერდიანი. დანართში არის 33 სურათი, 16 ცხრილი და 22 სქემა. თან ერთვის ბიბლიოგრაფიული სია 48 წყაროს ჩვენებით, მათგან უცხოურია 11 წყარო.

სტრუქტურულად ნაშრომი შედგება: რეზიუმეს, შესავლის, სამი თავის, დასკვნების, გამოყენებული ლიტერატურის და ილუსტრაციების, ცხრილების, სქემების ჩამონათვალისგან.

შესავალში განხილულია თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის ობიექტი და საგანი, კვლევის მეთოდები, ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილი იქნა აღმოსავლეთ საქართველოს მთის სოფლების უბანულ-სოციალური და არქიტექტურულ-სივრცობრივი განვითარების ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა, დემოგრაფიული განვითარება, არსებული საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა და გარემოს დაცვის

მდგომარეობა, ურბანულ-სოციალური და ეკონომიკური განვითარების პოტენციალი და სხვა.

დადგინდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებული დასახლებები სრულიად მოშლილია, ნახევრად დანგრეულია სათემო და საზოგადოებრივი შენობები. მიტოვებული სახლების შემაშფოთებელი რაოდენობა შეინიშნება, რაც მიგრაციის მაღალ დონეზე მიანიშნებს. თითქმის ყველგან მეურნეობის მკვეთრად გამოხატული არქაული ფორმები შეინიშნება. წყობიდან გამოსულია საგზაო და საინჟინრო ინფრასტრუქტურა. რეგიონში დარჩენილ მცირერიცხოვან მოსახლეობას უკიდურესად ცუდ პირობებში უხდება არსებობა. საჭიროა სატრანსპორტო კავშირების ფუნქციონირება, მთის სოფლების ძირეული ფუნქციურ-გეგმარებითი და სტრუქტურული ცვლილებები. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ბუნებრივი პირობებისა და მეურნეობის თავისებურებებიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის რეგულირება, სიღარიბის დაძლევის და მიგრაციული პროცესების შეწყვეტის მიზნით დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა და სოფლად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სტრუქტურულად ნაშრომი შედგება სამი თავისგან:

- თავი I. „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რეგიონების ურბანულ-სოციალური განვითარების ისტორიული რეტროსპექტივა“;
- თავი II. „აღმოსავლეთ საქართველოს მთის სოფლებისა და განსახლების ურბანულ-სოციალური და სივრცული განვითარების არსებული თავისებურებები“;
- თავი III. „აღმოსავლეთ საქართველოს მთის სოფლების ურბანულ-სოციალური და არქიტექტურულ-სივრცობრივი განვითარების პრინციპები“.

დისერტაციის პირველ თავის, პირველ ქვეთავში განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გეოგრაფიული და ბუნებრივ-კლიმატური პირობები. კვლევების და ანალიზის შედეგები ჩამოყალიბდა დასკვნების სახით, კერძოდ:

საქართველოს მთიან რეგიონებში ბუნებრივ-კლიმატური პირობების დიდი მრავალფეროვნება გამოწვეულია ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ პერიფერიულ ნაწილში; გეოგრაფიული და დემოგრაფიული შემადგენლობის სირთულით; მთიანი რეგიონების ვერტიკალური ზონირებით, სარტყლებით, რომელიც განაპირობებს კლიმატის და მცენარეული საფარისა და მრავალი სხვა კომპონენტის განაწილებას.

რელიეფის ვერტიკალური სარტყლები შემდგენაირად დიფერენცირდება: 0-დან 500 მ. ზღვის დონიდან - დაბლობი რაიონები; 600-800 მ. ზ.დ. - წინამთის ზონა; 800-1200 მ.ზ.დ. - შუა მთის ზონა; 1200 მ. ზ.დ. და ზევით - მაღალმთიანი ზონა.

რელიეფის სირთულის ძირითადი მახასიათებლებია მისი დახრილობა და დანაწევრება; მიღებულია რელიეფის დახრილობის შემდეგი ქალაქგვემარებითი კლასიფიკაცია: 0-დან 3% - სწორი ტერიტორია; 3-8% მცირე დახრილობის; 8-20% - საშუალო დახრილობის; 20-40% - დამრეცი, ხოლო 40-60% და ზევით - მაქსიმალურად დამრეცი დახრილობის ტერიტორიები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთიან რეგიონებში სოფლების განსახლებაზე და მათ გვემარებით ორგანიზაციაზე, არის კლიმატი. როგორც საქართველოს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კლიმატზე დიდ გავლენას ახდენს რელიეფის ვერტიკალური სარტყლები (ზონები). თუ წინამთის ზონაში ზომიერი თბილი კლიმატია, იგი თანდათანობით მკაცრდება შუა და მაღალმთიან რაიონებში, განსაკუთრებით შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. ამასთან ერთად იცვლება ტერიტორიების ბუნებრივი საფარი ტყიანი ზონიდან სუბალპური, ალპური და მუდმივ თოვლიან ზონებამდე.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რეგიონების ურბანულ-სოციალური და არქიტექტურულ-გეგმარებითი საკითხების გადანყვეტისა გათვალისწინებული უნდა იქნას კომპლექსი ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორებისა: რთული რელიეფი, მისი ფორმა, დანაწევრება და დახრილობა, კლიმატისა და ლანდშაფტის ცვალებადობა ვერტიკალური ზონალობის მიხედვით და ა.შ.

დისერტაციის პირველი თავის, მეორე ქვეთავში განხილულია ურბანულ-სოციალური განვითარების ისტორიული რეტროსპექტივა; მთიანი რეგიონების ურბანულ-სოციალური და დემოგრაფიული განვითარება XIX-XX საუკუნების დასაწყისში; მთიანი რეგიონების განვითარების პრობლემები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში.

ისტორიულ-რესროსპექტული ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს მთიანი რაიონები, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოსიც, საუკუნეების მანძილზე სოციალ-ეკონომიკური განვითარებით საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ მთიან რაიონებს: ადრე და გვიან ფეოდალურ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში - ფშავ-ხევსურეთისთვის, ხევსთვის, მთიულეთისთვის და თუშეთისთვის განსახლების რეგულირება მნიშვნელოვანი და პრობლემატური საკითხი იყო. რთული ბუნებრივ-კლიმატური პირობები მთის მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების, აგრეთვე მიგრაციული პროცესების სპეციფიკას განსაზღვრავდა. თვითმიგრაციის პროცესი გამონწვეული იყო ტერიტორიის სიმცირით და ეკონომიური პირობებით. ეს პროცესი XIX საუკუნის 80-იან წლებში აქტიურად დაიწყო, თუმცა დემოგრაფიული მიგრაციული პროცესები არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ მდგომარეობასთანაც იყო დაკავშირებული.

მნიშვნელოვანი ძვრები მოსახლეობის მობილურობაში შეინიშნება XIX საუკუნიდან, როცა ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელდა მასშტაბური სატრანსპორტო მშენებლობა - საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქცია.

აღსანიშნავია, რომ ეს სატრანსპორტო მაგისტრალი დღესაც არსებითად ზემოქმედებს მხარის სამეურნეო და სოციალურ განვითარებაზე.

მთა-საქართველოს საცხოვრებელი სახლის თუ ციხე-სახლის არქიტექტურა ქართული ისტორიული ხუროთმოძღვრების მრავალმხრივ საყურადღებო ფურცელია. ეს არქიტექტურა წარმოშვა მკაცრმა ბუნებრივმა პირობებმა, ისტორიულმა კატაკლიზმებმა და თავისებურმა სოციალურმა წყობამ.

სადისერტაციო ნაშრომის **პირველი თავის** მესამე ქვეთავში შესწავლილი იქნა მთიანი რეგიონების განვითარების პრობლემები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში. დადგინდა რომ საბჭოთა პერიოდში კოლექტივიზაციის პოლიტიკის გატარების პარალელურად დაიწყო აგრარული სექტორის სერიოზული კრიზისი. მნიშვნელოვნად გაუარესდა მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. 1950- იანი წლებიდან დაიწყო კიდევ ერთი სამთავრობო ექსპერიმენტი თუშებისა და სხვა მთიელების იძულებით ჩამოსახლება ბარში, რასაც მთის დაცლა მოჰყვა.

შესწავლილი იქნა 1976-1978 წწ. საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტში“ შემუშავებული „1991-2001 წლების პერიოდამდე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განსახლების რეგიონული სქემა“. რომელიც წარმოადგენდა „სსრკ ტერიტორიაზე განსახლების გენერალური სქემის“, განვითარება-დეტალიზებას და იგი უკავშირდებოდა საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარების ძირითად მიმართულებებს და ტერიტორიულ განაწილებას.

მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ამ პერიოდში შესრულებული ქალაქგეგმარებითი და არქიტექტურული პროექტები აღმოსავლეთ საქართველოს მთის სოფლების შათილის და გუდანის მშენებლობა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განსახლების გენერალური სქემა იმ დროისთვის იყო საკმაოდ პროგრესული ქალაქმშენებლობითი საპროექტო დოკუმენტი, მაგრამ თავისი იდეოლოგიით

დირექტიული ხასიათის იყო და, ბუნებრივია, ამასთან მას თან ახლდა გეგმიური ეკონომიკის ყველა ნეგატიური მხარეები. მაგრამ მას, ჰქონდა პოზიტიური მხარეც, რაც გამოიხატებოდა რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის სიღრმისეულ მეცნიერულ დასაბუთებაში და ტერიტორიული დარგობრივი დაბალანსების უზრუნველყოფაში.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში, დამოუკიდებლობის აღდგენიდან 25 წლის მანძილზე, მიგრაცია მნიშვნელოვნად იზრდებოდა. მთის სოფლებში ამჟამად არსებობს უმძიმესი პრობლემები: მცირემიწიანობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნაკლები კონკურენტუნარიანობა და ტექნოლოგიური ჩამორჩენა. ზამთარში რთული კლიმატური პირობების გამო გზა გაზაფხულამდე ჩაკეტილია. ზამთარში მხარე თითქმის ცარიელდება მოსახლეობისგან.

დისერტაციის მეორე თავში განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს მთის სოფლებისა და განსახლების ურბანულ-სოციალური და სივრცული განვითარების არსებული თავისებურებები. **მეორე თავის პირველ ქვეთავში** გაანალიზებულია ურბანულ-სოციალური და ეკონომიკური განვითარების პოტენციალი ცალკეული რეგიონების მიხედვით. დადგენილი იქნა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ურბანულ-სოციალური და ეკონომიკური განვითარების პოტენციალი, როგორც საერთო, ასევე ცალკეული რეგიონებისთვის, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მაღალმთიანი მხარეების უნიკალურ და გამორჩეულ თავისებურებას ქმნის მათი ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტების ერთობა, დამახასიათებელი არქიტექტურა და სპეციფიკური კულტურა, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა თავისი უნიკალურობა და თავისებურება, რომელიც შედგება სპეციფიკური დიალექტის, რიტუალების, ტრადიციების, ხელსაქმის, ტრადიციული სამზარეულოსაგან და სხვ. სპეციფიკური

არქიტექტურა, რომელიც კარგად არის შერწყმული ლანდშაფტთან (სოფლები, სივის ქვით ნაშენი ციხე-კოშკები) განუმეორებელ სურათს ქმნის. გარდა ამისა მთიანი რაიონები მდიდარია: ჰიდრო ელექტრო რესურსებით, როგორც მინერალური, ასევე მტკნარი წყლით, სხვადასხვა ხარისხის სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვის მასალებით.

გამოვლენილი იქნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ვერტიკალური სარტყლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. წინამთის ზონაში განვითარებულია ძირითადად მემინდვრეობა, და ნაწილობრივ მემცენარეობა და მევენახეობა, ხოლო მთიან და მაღალმთიან რაიონებში - მეცხოველეობა, მეცხაგარეობა, მეფუტკრეობა და ნაწილობრივ მემინდვრეობა, მაგრამ სოფლის მეურნეობის განვითარებას აფერხებს სახნავ-სათიბი და საძოვრებისთვის გამოსადეგი ტერიტორიების დეფიციტი. მთიან და მაღალმთიან ზონებში მნიშვნელოვანია საკურორტო-რეკრეაციული პოტენციალი, ამიტომ დღეს, ისევე, როგორც პერსპექტივაში უნდა გაფართოვდეს აგრარულ-საკურორტო-ტურისტული და აგრარულ-რეკრეაციული ფუნქციები.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავის მეორე ქვეთავში საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-გაანალიზების შედეგად, დადგინდა, რომ არსებული საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა ჯერ კიდევ ეფუძნება საბჭოთა პერიოდის მოძველებულ საკანონმდებლო ნორმებს, ხოლო ახალი აქტები და კანონები არასრულყოფილი და არაეფექტურია. 1999 და 2016 წწ მიღებული მთის კანონები ვერ ითვალისწინებს კომპლექსური განვითარებისა და არსებული პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობებს, მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით. გარდა საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის არასრულყოფილობისა, გამოვლენილი იქნა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების ურბანული, სოციალ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და ა. შ. პრობლემები.

მეორე თავის მესამე ქვეთავში შესწავლილი იქნა არსებული სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობის დინამიკა (1999,2002,2014 წლების აღწერის შედეგებით) და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ურბანულ-სოციოლოგიური შერჩევითი კვლევა რეგიონულ განვითარებასთან მიმართებაში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში მოსახლეობის მიგრაციის პროცესი, მოსახლეობის რიცხოვნობის დაზუსტება უკანასკნელ ათწლეულებში არ ჩატარებულა. რამდენი ადამიანი ცხოვრობს დღეს მთიან სოფლებში, უცნობია, რადგან სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებში დიფერენცირებულია მხოლოდ ქალაქად და სოფლად მცხოვრებთა რაოდენობა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს მთასა და მთისწინეთში ნეკროდემოგრაფია აქვს ადგილი, დაახლოებით, 1000 სოფელზე მეტი აღარ არსებობს, არ ხდება აღწარმოება, იზრდება დაბერებულთა რაოდენობა, განსაკუთრებით, ეს თვალშისაცემი მთიულეთში და ხევსურეთსა და თუშეთში.

2015 წლის ზატეხელისთვის ჩვენს მიერ განხორციელდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში (შერჩევითი მეთოდით) დემოგრაფიული და სხვადასხვა მიმართულების ანალიტიკური კვლევები, კერძოდ, განხორციელდა ხუთი ექსპედიცია დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის და ახმეტის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში, რომლის შედეგად გადამოწმებული იქნა დღემდე არსებული მონაცემები რამდენიმე მაღალმთიანი სოფლის მაგალითზე და გამოიკვეთა რეალური სურათი დემოგრაფიული თუ სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ და გამოვლინდა მოსახლეობის მიგრაციის და სოფლების დაცლის ინტენსიფიკაციის პროცესი. სოფლებში მაცხოვრებელთა რაოდენობის მუნიშუმამდე (1-3 და 10 კაცამდე) შემცირებისა და მათი დაბერების ტენდენცია, კულტურულ-საყოფასცოვრებო, საგანმანათლებლო, სამედიცინო და სხვა მომსახურეობის დაბალი დონე წინა მთის რეგიონებში და პრაქტიკულად

არარსებობა შუა და მაღალმთიანეთში. ამავე ჰიტსომეტრიულ სარტყელში რაიმე სახის სახელმწიფო და ორგანიზებული წარმოების არ არსებობა, საგზაო საკომუნიკაციო კავშირებისა და გზების მძიმე ტექნიკური მდგომარეობა, ორგანიზებული სატრანსპორტო მიმართულებების არქონა.

შესწავლილი იქნა ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში მრავალსაუკუნოვანი არქიტექტურულ-ისტორიული და ლანდშაფტური ძეგლები, საკულტო ნაგებობები, ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლები, საცხოვრებელი ფონდი, ტრადიციული განსახლების სისტემები, აგრეთვე არამატერიალური კულტურულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა: ადათ-წესები, ხელოვნების ტრადიციული დარგები და ა.შ.

დისერტაციის მესამე თავში განხილულია მთიანი რეგიონების ურბანულ-სოციალური და არქიტექტურულ-სივრცობრივი განვითარების უცხოური გამოცდილება; მოცემულია აღმოსავლეთ საქართველოს მთის სოფლების ურბანულ-სოციალური და არქიტექტურულ-სივრცობრივი განვითარების პრინციპები, წარმოდგენილია სატრანსპორტო-საინჟინრო კომუნიკაციების, სოციალურ-კულტურული მომსახურების ფორმირებისა და განვითარების ასპექტები; მთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგია, ძირითადი ურბანული არეალების გამოვლენა ფუნქციონალური ზონები და საცხოვრისის არქიტექტურულ-სივრცობრივი ორგანიზაცია.

გამოვლენილი იქნა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების ფუნქციურ-ტერიტორიული ზონირების შედეგად გეგმარებითი ერთეულები, ამასთან მნიშვნელოვანია მთიანი რეგიონების ერთიან ურბანულ სივრცედ ჩამოყალიბება, როგორც აგრარულ-რეკრეაციული და სამეურნეო განვითარების ასევე აგრარულ-საკურორტო-ტურისტული თვალსაზრისით.

მთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისთვის შესწავლული იქნა სოფლის დასახლებების ტრადიციულად ჩამოყალიბებული

ტიპები. გამოვლინდა ძირითადი ურბანული არეალები, რთული რელიეფის სპეციფიკის გათვალისწინებით დაზუსტდა რელიეფის კლასიფიკაცია: 0.5 – 40% დახრილობით - განაშენიანებისთვის მისაღები; 40-60% დახრილობით - განაშენიანებისთვის ტერიტორიის შეზღუდული გამოყენებით; 60% -ზე მეტი დახრილობით - განაშენიანებისთვის გამოუყენებელი.

ერთიანი სივრცული, ურბანულ-გეგმარებითი განვითარების ტენდენციებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების სოფლის დასახლებული ადგილების ეტაპობრივად განვითარების პირობები, ზონალურ-გეგმარებითი ტერიტორიების აგრარულ-რეკრეაციული და აგრარულ-საკურორტო-ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში განსახლების ერთიანი ურბანული სისტემის შექმნის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ახალი თანამედროვე სატრანსპორტო-საინჟინრო კომუნიკაციური ინფრასტრუქტურის ქსელის შექმნა. აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების შიდა სატრანსპორტო ქსელის გაფართოება და მისი დაკავშირება სახელმწიფო მნიშვნელობის მაგისტრალთან. მთიანი რეგიონების ეკოლოგიური დაცვის მიზნით უმნიშვნელოვანესია თანამედროვე საინჟინრო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის, სანიაღვრე და საკანალიზაციო, ელექტრომომარაგების, კავშირგაბმულობის ქსელების მშენებლობა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის სოფლების ურბანულ-სოციალური და არქიტექტურულ-გეგმარებითი განვითარებისთვის აუცილებელია არსებული და წინამდებარე კომპლექსური კვლევის საფუძველზე, მონაცემთა სრულყოფილი ბაზის გათვალისწინებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის პერსპექტიული ურბანული სივრცით-ტერიტორიალური ერთიანი განვითარების გენერალური სქემის შექმნა და მის ბაზაზე ლოკალური არეალების განაშენიანების რეგულირების გეგმების დამუშავება და განხორციელება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი სამეურნეო და აგრარულ-საკურორტო-ტურისტული პოტენციალის სრულფასოვანი ურბანულ-სოციალური და არქიტექტურულ-გეგმარებითი განვითარების პრინციპების გამოყენება ხელს შეუწყობს მთიანი რეგიონების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მოსახლეობის მიგრაციის შეჩერებას, სამუშაო ადგილების შექმნას, ცხოვრების დონის საგრძნობად ამაღლებას და მდგრადი განვითარების პირობების ჩამოყალიბებას.

დისერტაციის საერთო დასკვნებში მოცემულია კვლევის ძირითადი შედეგები: გამოვლენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რეგიონების ურბანულ-სოციალური განვითარების ისტორიული რეტროსპექტივის კვლევა და მთის სოფლებისა და განსახლების ურბანულ-სოციალური და სივრცული განვითარების არსებული თავისებურებები. მათი შესწავლა - გაანალიზების შედეგად კი წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთის სოფლების ურბანულ-სოციალური და არქიტექტურულ-სივრცობრივი განვითარების პრინციპები.

შემაჯამებელი დასკვნები

კვლევების და ანალიზის შედეგები ჩამოყალიბდა დასკვნების სახით, კერძოდ:

1. დადგენილი იქნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფის სირთულე (დახრილობა და დანაწევრება), მისი ვერტიკალური ჰიფსომეტრიული სარტყლები, მნიშვნელოვნად განაპირობებს კლიმატისა და ლანდშაფტის თავისებურებებს. მთლიანობაში კი გეოგრაფიული და ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორების კომპლექსი განსაზღვრავს რეგიონების ურბანულ-სოციალურ, დემოგრაფიულ და არქიტექტურულ-გეგმარებითი პრობლემების გადაწყვეტას.

2. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის განვითარების ისტორიულ-რეტროსპექტული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მთიანი რაიონები, საუკუნეების მანძილზე, როდესაც სოციალურ-ეკონომიური განვითარებით ჩამორჩებოდნენ დაბლობ რაიონებს. ეს პრობლემა გამომწვეული იყო:

- ადრეულ პერიოდში ფშავ-ხევსურეთის, მთიულეთის და თუშეთისთვის დამახასთებელი შიდასამეურნეო და შიდამიგრაციული პროცესებით, ტერიტორიის სიმცირით და ეკონომიკური პირობებით;

- მეფის რუსეთის ექსპანსიის პერიოდში მთიელთა თავისუფლების შეზღუდვით, მძიმე ბეგარის შემოღებით და კოლონიალური ჩაგვრით;

- საბჭოთა პერიოდში იდეოლოგიურ-პოლიტიკური წნეხით, განხორციელებული კოლექტივიზაციით, მთიდან ბარში იძულებით ჩამოსახლებით;

- პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ-ეკონომიკური ქაოსით და არასტაბილურობით, სამოქალაქო ომებით და საერთო ეკონომიკური სტაგნაციით.

3. დადგენილი იქნა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ურბანულ-სოციალური და ეკონომიკური განვითარების პოტენციალი, გამოვლენილი იქნა, რომ როგორც მთლიანობაში, ასევე ცალკეულ რეგიონები მდიდარია: ჰიდრორესურსებით, როგორც მინერალური, ასევე სამკურნალო მტკნარი წყლით, სხვადასხვა ხარისხის სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვის მასალით, უნიკალური ბუნებრივი ლანდშაფტებით, მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლებით და კომპლექსებით, მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული ზონებით, სპეციფიკური სასოფლო-სამეურნეო წარმოების (მეცხოველეობა, მეცხვარეობა, მემინდვრეობა, მეფუტკრეობა და ა.შ.) შესაძლებლობებით და ა.შ.

4. არსებული საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა ჯერ კიდევ ეფუძნება საბჭოთა პერიოდის მოძველებულ საკანონმდებლო ნორმებს, ხოლო ახალი აქტები და კანონები არასრულყოფილი და არაეფექტურია. 1999 და 2016 წწ მიღებული მთის კანონები ვერ ითვალისწინებს კომპლექსური განვითარებისა და არსებული პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობებს, მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

5. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლა 1999, 2002, 2014 წლების აღწერის შედეგები იძლევა მეტნაკლებად სრულყოფილ სურათს სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობის, მიგრაციული პროცესების და სხვა მნიშვნელოვანი მონაცემების შესახებ. ამ ხარვეზების ნაწილობრივ შესავსებად 2015 წლის ზაფხულში აღმოსავლეთ საქართველოში მთიანეთში ჩვენს მიერ განხორციელდა შერჩევითი სოციალ-დემოგრაფიული კვლევები. განხორციელდა ხუთი ექსპედიცია დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის და ახმეტის მუნიციპალიტეტებში მაღალმთიან სოფლებში.

შერჩევითი კვლევის შედეგად გამოვლინდა მოსახლეობის მიგრაციის და სოფლების დაცლის ინტენსიფიკაციის პროცესი. სოფლებში მაცხოვრებელთა რაოდენობის მუნიუმამდე (1-3 და 10 კაცამდე) შემცირებისა და მათი დაბერების

ტენდენცია, უმუშევრობის მაღალი დონე და მოსახლეობის მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საგანმანათლებლო, სამედიცინო და სხვა მომსახურეობის დაბალი დონე წინა მთის რეგიონებში და პრაქტიკულად არარსებობა შუა და მაღალმთიანეთში. ამავე ჰიფსომეტრიულ სარტყელში რაიმე სახის სახელმწიფო და ორგანიზებული წარმოების არ არსებობა, საგზაო საკომუნიკაციო კავშირებისა და გზების მძიმე ტექნიკური მდგომარეობა, ელექტრო-გაზმომარაგების, წყლისა და სატელეფონო კავშირების დაბალი დონე. დაფიქსირდა ტურიზმის განვითარების ერთგვარი გამოცოცხლება და ამასთან დაკავშირებით მოსახლეობის სეზონურად გააქტიურება, მთელ რიგ სოფლებში ტურისტებისთვის სასტუმრო სახლების მონაცობა, არსებული შენობების განახლების ხარჯზე და მათი მომსახურეობის პირობების შექმნა.

6. მაღალმთიანი რეგიონების განვითარების უცხოური გამოცდილების, კერძოდ, შვეიცარიის, იტალიის, საფრანგეთის, ავსტრიის და იაპონიის შესწავლა-ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მთის სოციალ-ეკონომიკური ურბანული დაგეგმარების პრობლემების გადაწყვეტა ხდება ერთიანი, კომპლექსური მიდგომის საფუძველზე. პრიორიტეტული და პრობლემატური საკითხების წინ წამოწევი და ეტაპობრივი განხორციელებით პრიორიტეტებს შორის შეიძლება გამოვყოთ ერთიანი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემების პროექტირება და მშენებლობა, მთიანი ტერიტორიების ფუნქციების სწორად განსაზღვრა, არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება და ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალურად დასაქმება.

7. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ურბანულ-სოციალური და არქიტექტურულ სივრცობრივი განვითარება უნდა მოხდეს კომპლექსური სივრცით-ტერიტორიალური გენ-სქემის საფუძველზე, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია თანამედროვე სატრანსპორტო-კომუნიკაციების ქსელი, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს ფუნქციონალურად სწორად ჩამოყალიბებულ ლოკალურ

არეალებს. შედეგად შეიქმნება განსახლების ურთიერთდაკავშირებული სისტემები თავიანთი ცენტრებით და და ქვეცენტრებით.

მცხეთა-მთიანეთის მხარის მაგალითზე შემუშავდა ურბანულ-სოციალური და არქიტექტურულ-გეგმარებით პრინციპებზე დაფუძნებული მოსახლეობის განსახლების სატრანსპორტო-საკომუნიკაციო, სასოფლო-სამეურნეო და მომსახურეობის სისტემების ფორმირების სამ ეტაპად განხორციელების ერთიანი პრინციპიალური სქემა, რომელიც ითვალისწინებს პირველ ეტაპზე - ძირითადად არსებული განსახლების გარდაქმნას და სოფლის დასახლებების საყრდენი ქსელის ფორმირებას; მეორე ეტაპზე - საგზაო-სატრანსპორტო ქსელის გაუმჯობესებასა და სოფლის დასახლებების გამსხვილებას, რის შედეგად ადგილობრივი განსახლების სისტემა შედარებით გამარტივდება და მესამე ეტაპზე - როდესაც ნაკლებად ფუნქციონალური დასახლებების გაფართოებას, პრიორიტეტული განსახლების ცენტრების ჩამოყალიბებას, მასში შემავალი სოფლების განვითარებას, შიდა და გარე სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის ფორმირების პროცესის შემდგომ განვითარებას.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის სოფლებში კომპლექტური საცხოვრებელი განაშენიანების შესაქმნელად წარმოდგენილი იქნას სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი სახლები და რეკომენდაციები საცხოვრებელი სახლების მშენებლობა- განაშენიანებაში პრინციპულად ახალი გეგმარებითი ხერხების გამოყენებისთვის.

Resume

Urban-social and architectural-planning development principles of the mountainous villages in the east part of Georgia

In this work-paper the current situations in the mountainous villages of the east part of Georgia have been studied, its demographic development, the existing legal regulatory base, urban-social and economic development potential and others.

Established that all exist settlements are damaged in the mountainous area of east Georgia, which indicates a high level of migration. Traffic and engineering infrastructure are blown out. The remaining few residents have to live in a very poor conditions. Mountainous villages need some fundamental functional-planning and structural changes.

It is noted that during deciding urban-social and architectural-planning questions, natural-climatic factors' complexes should be considered: Difficult relief, its shape, its inclination and articulation, its climate and landscape variability by the vertical zoning etc.

In this work-paper , development problems of the mountainous regions have been studied during feudal, soviet and post-soviet periods . It was established that accommodation regulation in the mountainous part of east Georgia was important and problematic question since the early period. During the soviet period, it began serious crisis, parallel collectivization policies in the agricultural sector. Mountaineers' socio-economic situation worsened, which has resulted of emptying the mountains. In addition, it was studied theoretical and practical works, made in projecting and researching Institutes in Georgia during 60-80 years of the last century.

Studying the demographic situation in the mountainous part of east Georgia has resulted, that in the post soviet period migration had dramatically increased. Nowadays, there are serious problems in the mountainous villages: Lack of the land, less competitive and technological backwardness of the agricultural products. In winter this area is almost empty of its difficult environmental conditions.

Urban-social and economic development potential of the mountainous Georgia has been established for both specific and general regions. As a result of analizing legal norms and exploration, it has been established that existing acts and laws are incomplete

and ineffective. The law of the mountain issued in 2016, doesn't provide complex development and problem solving ability, sustained by development principles.

Dynamics of the socio-demographic situations have been studied with the result of 1999, 2002, 2014 years' census, which gives more or less comprehensive picture about the number of the village population, migration processes and about other important data.

Partly filling up the gaps in census, demographic and other analytical researches were carried out for the summer 2015 in the mountainous regions of east Georgia (selective method). In particular, five expeditions were carried out in the mountainous villages of Dusheti, Tianeti, Kazbegi and Akhmeta municipalities.

Foreign experiences have been studied to plan the mountain settlements and formation-development principles, which could be used for the destination of architectural planning development in the mountainous part of east Georgia.

It has been determined that it's important to form the mountainous regions as the general urban area to develop agriculture-recreation and industry as well as agriculture-recreation and tourism.

According to the united urban-planning development tendencies, development principles have been formed step by step of the mountainous inhabited regions in the east part of Georgia for the agrarian-resort-tourism potential.

Nino Laghidze

ლიტერატურული წყაროები

1. ავტორთა კოლექტივი, ვ. პაპავას რედაქტორობით. რეგიონული ეკონომიკა. თბილისი: 2004, 407გვ; 16. ზარანდია ჯ. საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები. მონოგრაფია. თბილისი: 2002, 75 გვ;
2. ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 1 - ფშავი, თბ., 1974;
3. გეგეშიძე ა. საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია განვითარებას საჭიროებს. ინტერვიუ: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფონდი. GFSIS. 2007, 16 იანვარი (ქართულ ენაზე). ვებ-გვერდი: <http://www.gfsis.net/pub/geo/showpub.php?detail=1&id=118>
4. დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის და მცხეთის რაიონების მუნიციპალიტეტების გამგეობების სტატისტიკური ანგარიშები. 2008_2009-2010.
5. ვ. ბერიძე ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ.186-198
6. ვარდოსანიძე ვ.ვ. კლებადი ქალაქები - ახალი გამოწვევა ქართული ურბანისტიკისათვის (პრობლემის დასმა). თბილისი: კავკასიის მაცნე. სპეციალური გამოცემა. 2004, N3, გვ.51-54.
7. ვარდოსანიძე ვ. ურბანისტიკა დამოუკიდებელ საქართველოში - ანალიზური მიმოხილვის მცდელობა. თანამედროვე ურბანული განვითარება. ნაწილი მეორე, თბილისი: 2007, გვ. 55-81.
8. ვარდოსანიძე ვ., ძიძიგური პ. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის ზოგიერთი თეორიული ასპექტი და პრაქტიკული ამოცანა. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები თბილისი: 1996 წლის 10 აპრილი, გვ. 32-40;
9. თანამედროვე ურბანული განვითარება. ნაწილი პირველი. ევროპისათვის გაეროს ეკონომიკური კომისიის სტრატეგია: XXI საუკუნეში, დასახლებებში ცხოვრების მდგრადობის ხარისხი. თბილისი: 2007, გვ. 270-303.
10. თიანეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა. 2010. 54. თოფჩიშვილი რ. ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები. თბილისი: 2002, 82 გვ.
11. ლანდშაფტური დაგეგმარება: მეთოდოლოგია და გამოცდილება =Ландшафтное планирование: методология и опыт применения Landscape

- planning: methodology and experience in implementation : მონოგრაფია. ელიზბარაშვილი ნ., ნიკოლაიშვილი დ., მაჭავარიანი ლ. და სხვ. თბილისი-ბონი - ირკუტსკი: 2009. - 188გვ.
12. მესხია ი. დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. ურნალი "ბიზნესი და კანონმდებლობა". 12. თბ., 2009.
 13. მახარაშვილი თ. განსახლების სისტემების განვითარება აღმოსავლეთ ცენტრალურ რაიონებში (დუშეთ-თიანეთის ქვერაიონი). ურნალი „საშენი მასალები და ნაკეთობები“. თბილისი. 2002 წ. გვ. 27-32
 14. მახარაშვილი თ. საქართველოს მთიანეთის ურბანული განვითარების პერსპექტიული გზები ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში. კრებული „კავკასიის მაცნე“ IX - 2. თბილისი. 2003. გვ.13-16
 15. მახარაშვილი თ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაციის პრობლემები. ურნალი „მშენებლობა“. #2(29) . თბილისი. 2013. გვ 19-26.
 16. მახარაძე ჯ. დემოგრაფიული პოლიტიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სტრატეგიულ-კონცეპტუალური პოზიციები. ურნალი: აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები. 1N1. თბ., 2008.
 17. მუსელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი: 1977;
 18. მცხეთა-მთიანეთის სოფლის მეურნეობის რეგიონალური სამართველოს სტატისტიკური ანგარიშები. 2009-2010.
 19. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ოფიციალური ვებ გვერდი. <http://mtskheta-mtianeti.gov.ge/halotrasti.html>
 20. ნოდია გ. საქართველოს მრავალეთნიკურობა: ფაქტები, დამოკიდებულება ფაქტების მიმართ და პოლიტიკური სტრატეგია. ერთი საზოგადოება, მრავალი ეთნოსი: ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში, თბილისი: 2003, გვ. 92
 21. რობიტაშვილი გ. საავტომობილო გზების განვითარება საქართველოში, თბილისი. 1988წ, გვ 13.
 22. სამჭკუაშვილი ნ. ტურიზმის მდგრადი განვითარება, როგორც მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობა. III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია "ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი" ბათუმი 2-3 ივნისი 2012 წელი. კონფერენციის შრომათა კრებული. გვ. 148-153.

23. სამჭკუაშვილი ნ. დუშეთის რაიონის სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა. სსაუ სამეცნიერო შრომათა კრებული. ტ. XXXVIII. თბ., 2007. გვ. 194-198.
24. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს;
25. საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“;
26. საქართველოს კანონის „სივრცითი მონაცობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ (2005 წ.);
27. საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“.1996
28. საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგია 2010– 2017 წწ. N 172 თბილისი: 2010, 29გვ;
29. სულუხია თ. თანამედროვე გლობალური ურბანული ტენდენციები და__თბილისი. თანამედროვე ურბანული განვითარება. ნაწილი მეორე, თბილისი: 2007, გვ. 35-54;
30. ჩიტაია გ., გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში, «მომომხილველი», 1926, ტ. 1;
31. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი: 1919;
32. ჯიბუტი მ. საქართველოს რეგიონული მონაცობის საკითხისათვის. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. 2008, გვ. 157-186;
33. Белоконь Ю.Н. Региональное Планирование теория и практика
34. Джаошвили В.Ш. Урбанизация Грузии. Изд. «Мецниереба»,Тбилиси:1978,264 სტ;
35. Гладкий Ю.Н. Чистобаев А.И. Основы региональной политики: Учебник-Санкт-Петербур. Издательство Михайлова В.А. 1998, 659с.
36. Новый взгляд на Экономическую Географию. Доклад о мировом развитии 2009.Всемирный Банк.Изд-во «Весь Мир». Москва: 2009, 383 სტ;
37. Париж: Пер. с франц./Ред. Составитель Ю. Рубинский, Москва: Прогресс.1976, 223с.. Региональная схема расселения на территории ГССР на период до 1991-2001 г.г. Госстрой ГССР Государственный Проектный Институт Грузгипрогорстрой., Тбилиси: 1979. 54 სტ;
38. Планировка и застройка сельских населенных мест Грузинской ССР / Н. Лагидзе, Т. Махарашвили, Д. Чичуа и др. ; Тбил. зональный н.-и. и проектный ин-т типового и эксперимент. проектирования жилых и общественных зданий (Тбил ЗНИИЭП) Госгражданстроя. - Тбилиси : "Мецниереба", 1977

39. Friedmann J. Regional Development Policy. MIT Press, Boston:1966;
 40. Krugman P.R. Geography and Trade. MIT Press, Cambridge (MA): 1991;
 41. Labasse G. L'urbanisation de la France. Geografia Polonika. 1979, #39
 42. Owens H.B. Regional Planning - an Example from the United States. In: "The
 43. Planning city region in France and Britain Journal of the Royal Town Planning Institute. 1971, #9, 57 vol.man-made landscape". UNESCO, 1977;
 44. გეგეშიძე ა. საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია განვითარებასსაჭიროებს. ინტერვიუ: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფონდი. GFSIS. 2007, 16 იანვარი (ქართულ ენაზე). ვებ- გვერდი: <http://www.gfsis.net/pub/geo/showpub.php?detail=1&id=118>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.04. 2016;
 45. თუშეთის დასული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე ვებ-გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1743146> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.04. 2016;¹
 46. საქართველოს ათასწლეულის გამონვევის ფონდის კვარტალური ბიულეტენი. ოქტომბერი-დეკემბერი,2008,#18,გვ.26.ვებ-გვერდზე: http://www.mcg.ge/data/file_db/Bulletin.eng/QB_N18_ENG_CS3n29qXol.pdf
 47. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი. ვებ-გვერდი: http://www.geostat.ge/cms/site_images/files/english/nad/mSp%20mimdinare%20fasebSi.xls,
 48. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი. ვებ-გვერდი: http://www.geostat.ge/cms/site_images/files/english/nad/mSp%20mimdinare%20fasebSi.xls, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.04. 2016;
-